

# მოგზაურობა აფხაზეთის მისიონერისა.

---

ყოვლად-სამღჳდელო აფხაზეთის ეპისკოპოსმან გ ე რ ო ნ ტ ი მ მომანდო მე მოწერილობითა თჳსითა 17-სა ოკტომბრითგან 1859 წლისა № 120-თა სიტყჳსა ღჳთისა შემოვლენა ეპარქიისა შინა თვისსა. მორჩილმან ამისამან, მე მეორე დღესვე 18-სა მდგომარი-ჲსა მის თთჳსა გავედ სოხუმის ქალაქიდან ჟამსა 3-სა შუადღიდგან, რომელსა თანა მყუა ორნი აღჭურვილნი მხედარნი, წარმოუვლენებულ-ნი განკარგულებითა აფხაზეთის მთავრისათა საჩუენებლად გზისა სრულს ჩემს მოგზაურობაში, მსახურებად დავანებასა ზედა სოფ-ლით სოფლად, და დაცვად ავაზაკთაგან ზედა-დაცემით გინა ქურ-დობით. დამდებმან ღმერთსა ზედა სასოებისამან, აღვირჩიე სვლა შავი-ზღვის პირით, რომელმანცა იწყო მომატებით ზვირთთა მჩქე-ფარობა, და ეტყობოდა მსურველობა ჩუენთან მოგზაურობისა და მით ვითომც გვიწინასწარმეტყველებდა მომავალსა ღვაწლსა ჩუენ-სა. სასიამოვნო იყო სახილველობა მდებარეობისა გარემოს ჩუენ-სა: მარცხენით ჩემსა ნავით რხევაჲ პონტოისა, და მარჯუენით ჭალაკი, შემოსილი ადგილით-ადგილად ყვავილოვნებითა მრავალ-ფერადებითა, სხუა და სხუა მცენარეთა და ხილთა. ვლეთ უმეტეს შჳდის ვერსტისა ქვე-ვითარსა გზასა ზედა, ღირსსა ხსოვნისასა, სადაცა თანდათანა ხმოვანება ზღვისა და კაცთა დაგვიმყუდროვდა, მივენდევ განგებასა ღჳთისასა და სახესა დაწესებულებისასა. მოვაწიეთ

43 647

მდინარისა პირსა გუმუსტას, სადაცა ვნახეთ ორნი რუსეთის მხედარნი სალდათნი, მხარზედ გარდადებით მექონნი თოფისა, ისხდნენ წყლის პირსა ზედა და ნადირობდენ თევზთა. სასიამოვნოდ აღმიჩნდა ხილვა მათი და აგრეთჳე სიმარდით ნადირობა მათგან, თითქმის ვერ ასწრობდენ კავისა გარდაგდებასა, რომ ისე აღმოჰყვავდათ დიდ დიდნი თევზნი. ვკითხე რა მიზეზია თოფი, რომ მოუშორებლად მხარზედ გქვსთქო, მიპასუხეს ვიშიშვით, ვაჲ თუ ტყიდან ავაზაკი მოულოდებლად დაგვესხას და ვერ მოვასწროთ თოფის აღება და თავისა თვისისა განრინება შემთხვევადისა უსიამოვნებისაგან, და ამისთჳს ვფრთხილობთო. მეცა მიმეჩქარებოდა რადგან ღამდებოდა და იმათაც კურთხევა მომთხოვეს, მივფინეთ მათ მშვიდობაჲ და განვეშორენით ურთიერთსა, და ვლიდით ზღვის პირით. შემოგვესხლა-რა მწუხრი, მითხრეს თანა-მხლეთა ჩუენთა დავანება ერთსა უშიგანესს სოფელში, გაგვიძღვნენ წოდებულსა სახელით ფ ს ი რ ც ს ა, სადაცა ერთისა ჟამისა ოდენ სვლითა მიგვიყვანეს მთის პირად მომაღლო ადგილზედ, საბატონო ყმის აჟგერია ლადარიას სახლში; თვით სახლის პატრონი შინ არ იყო; გარნა რა დაგვინახეს სტუმარნი გამოგვეგებნეს სახლობანი როგორც საზოგადოდ სტუმართ პატივი უწყიან აფხაზთა, და შეგვიყვანეს წინა-კარსა და იქ დავყავით რაოდენიმე დრო; შემდგომ მოვიდა სახლის პატრონიცა და ჩუენთა მომყოლთა უთხრეს ვინაობა ჩემი: მაშინ უფრორე გულს-მოდგინებით ისურვეს სამსახური ჩუენი, რომელთაცა ერთი სახლი დაგვიცალეს და მოგვიმზადეს.—დიდათ ეუცხოვათ ჩუენი ნახვა, სამღუდელონი სოფელსა ამას შინა დიდის ხნიდან არა ყოფილან მგზავრათაც, განკვირვება შეედვათ გულსა მათსა და ეკითხვიდენ თუ რისთჳს მოვიდნენ. სრულიად სოფელსა ამას შინა იქმნებიან მცხოვრებნი ორასი კომლი და ყოველნი არიან გლეხნი კაცნი, და მათ შორის არა იპოვება არცა ერთი სული ქრი-

სტიანი. მე მყვანდა თან აცის პრიხოდის მღუდელი მისაილ ანდრი-ას ძე სახოკია, რომელიცა ჟამსა გამოსვლისა ჩემისასა სოხუმიდამ მოსრულ იყო იქ თანამდებობისა-გამო თჳსისა და უკუნ ქცეულ-მან, ბრძანებითა ყოვლად-სამღუდელო აფხაზეთის ეპისკოპოსის გერონტისათა, წამოვედით ერთად, რადგან ჩემთვის საჭირო იყო თარჯიმანი. როდესაც მოინდომეს ცნობა თუ სად და რაჲსათჳს მივდივართ,—მაშინ უთხარით: ჩუენ დავდივართ სოფლითი სოფ-ლად, რათა ვაუწყოთ სახელი ქრისტესი დ ჭეშმარიტი სარწმუნო-ება მისი ერთა, ვაჩვენოთ გზა მართლისა სარწმუნოებისა.—მოთ-ხრობა ჩუენი მათ მიიღეს თვინიერ წინააღმდეგობისა. დ დართეს ესრეთ: უკეთუ უფალსა ჩუენსა ესურვება ჩუენი ქრისტიანობა, არ ვიქმნებით წინაღმდეგნი თქუენის სურვილისა და ქადაგებისა. მაშინ ჩუენ დაიმედებულთა განვავრცელეთ საუბარი იქამდნ, რომ, შესაძ-ლო-არს-თქმად, ღმობიერება შეედვათ გულსა და სიყვარული კე-თილ-ზნეობისა. ამ სასიამოვნო საუბრის დროს უეცრად ავათ-შე-იქმნა სახლის პატრონი გაცივების მჭვლებისაგან, ეგზომ, რომ მიიყვანა იგი თჳთ საშიშარს მდგომარეობაში. ითხოვეს-შეწევნა ჩუენ-გან, მაშინ მე მივედ და უთხარ: სახელითა იესო ქრისტესითა იმე-დი მაქუს განკურნო, უკეთუ მას ირწმუნებ-თქო, და მასთანვე შე-უდგები ბუნებითსა საშუალობასა, მოვატანინე ღომის სუვილი, ტაფა-ზედ ღვინით მოვხალე და რა-ადგილზედაც მჭვლები დ ტკივილი ჰქონდა, იქ პარკებით დავადებინე ორივე მხრით, რომლისაგანცა გაუხურდა ტანი, მიეცა ძლიერი ოფლი, და შეიქმნა დილამდისინ სრულიად კარგათ, დ დილით ჩემი დიდი მადრიელი და მლოცველი დაუტევე. ხოლო მე წარვემართე შემდგომ გზად. მეპატრონე ამა სო-ფლისა იყო კასან მარღანია (პარუჩიკი ღვარდიისა) სარწმუნოებითა მახმადიანი, მოშორებით შვიდს ვერსტზედ. გზაც იმაზე გვქონდა, და რადგან მთავრის ასულიცა იმათი გაზრდილია დ იქ იმყოფე-

ბოდა; ამისთჳს მივედი და ვნახე, რომელიც დამისვდა დიდის სიამოვნების გრძნობით, და ქრისტიანობრივის მოწყესეობით, განსაკვირველად მიჩნდა მისი თავიანობა, მიღება და ბაასი, არა თუ იმ მცირე წლოვანის ყმაწვილისაგან, არამედ საკმაო იყო ესე სრულს წლოვანზედაცა; გვთხოვეს სადილად დ დავრჩით იქ; გვიმასპინძლეს კეთილ-საამოდ და მოწლედ წოდებისა, და მადლობელნი წამოვედით. 19-ს ოკტომბრის რიცხვსა ვლეთ ველნი და მთა გორიანი, ტყენი, ადგილობრივ ვაზიანნი მამულნი ნასოფლარნი, ჭალაკნი და ხენნი ხილოვანნი. საამო იყო სახილველად თვალთა შემოხილება მდიდარისა ნაყოფიერებისა; გარნა სიამოვნება ესე შეზავებულ-არს მწუხარებითა ქსოდენისა მამულისა ყრუდ და უკაცოდ დატევებისათჳს. მოვედით ფსირცხის წყაროზედ, რომელიცა მუნვე ჩაერთვის ზღვასა. აქა არს კოშკი და ციხე დიდ-შენი, შემოსილი გარემო სუროს ფოთლითა, და ზემოთ ამისა არს ერთს ვერსტს ნახევარზედ ვაკესა ადგილსა ზედა ანაკოფიის ეკკლესია თლილის ქვისა გუმბათიანი, რომელიცა გარემო შეცულ-არს მყარის კლდითა აღმოსავლეთით და დასავლეთით, ჩრდილოეთით არს ხევი საშიში, და გამოდის წყარო ფსირცხისა და დასავლეთით ჩამოუვლის, და მუნ შენობანი ყოველნი დარღვეულ-არიან, რომელსა ზედა მცენარებენ დიდროვანნი ხენნი. ესე ეკკლესია არს ძველი ნიკოფისა ბერძენთა, რომლისათჳსაცა სწამებს თვისსა ანდერძში მეფე დავით აღმაშენებელი. აქა ასაფლავებია მოციქული სიმონ კანანელი, ერთი სამეოცდა ათთაგანი. აქა იხილვება, რომელ დროსა ევდემონ კათალიკოსისასა, 1320-ს წელსა, ყოფილა ეკკლესია ესე განბრწყინვებული და განათლებული, სადამდეც სიტყვითა ღჳთისათა სტკბებოდნენ ერნი; ამა პონტოის პირზედ ჴსცხოვრებდნენ ვაჭარნი საბერძნეთისა კოლონიისანი, სადაცა აწ არს სრულად აოხრებული, დარღჳეული დ ვერანად გარდაქცეული; აქა ნაცჳლად ღირსთა პირთა საყოფელისა

იყოფებიან მხეცნი მძვინვარენი და ფრინველნი.—ამ ეკკლესიაზედ ორს ვერსტზედ მოშორებით, მომაღლო მთაზედ, არს ერთი ერთ-მანეთზედ დაშორებულად ნახევარი ვერსტით სამი დიდრონნი კოშკნი, დიდ-შენნი, და აწ იგინიცა უქმ-არიან. ესე ყოველი ვიხილე-რა კაცთა ხელისაგან ნაშრომნი და დიდის ხაფასის წარგებით აღშენებულნი დაუქმებულად, შემედგა არა მცირედი ფიქრი და მწუხარება, და ცხოვლად წარმომდგინებმან მათმან დაღონებით შეუდეგ კვალადვე გზასა. მოვედით ზღვის პირად დაბასა გუდაუთას, სადაცა ვაჭრობენ ქრისტიანენი მეგრელიის მცხოვრებნი, და ტრაპიზონის მცხოვრებნი თათარნი. რიცხვი სულთა თათართა ერთ ნახევრადმდე აღემატება ქრისტიანეთა. თათართათჳს აღუშენებიათ ჯაჭამა სალოცველი ღენერალ-მაიორს აზნაურს კაცის მარღანიას მახმადიანს; ხოლო ქრისტიანეთა არა აქჳსთ სალოცველი; და არცა ღონის-ძიება აღაშენონ ეკკლესია; იყო მიმწუხრი, დუქნები დაეხშოთ და ქრისტიანენი ვერ ვნახე და წავედი მთავრის სასახლეში სოუკსს, რომელი შორავს მას ხუთ ვერსტზედ: თანა მაქჳნდა მთავრისაგან მიწერილი თავის მოურავებთან ესრეთ: „მოდის ჩემი ნათესავი და პატივ-სადებელი პირი მისიონერი აფხაზეთისა იერომონახი გრიგორ ბერი დადიანი და უბრძანებ ორთა ჩემთა აზნაურთა სახელდობრ, ესლონ განუშორებლად, სოფლითი სოფლად, აჩვენონ შემწეობა მოქცევისათჳს თათართა და წარმართთა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზედ; და აგრეთვე სასახლეში სანამ ინებოს დავანება, ემსახურეთ და თჳთ თქუენცა ემორჩილენით ყოველსა მისსა მოთხოვნილებასა ზედა„.— სასახლეში არ იყვნენ მოურავებნი, ჭირნახულის მოსაგროვებლად, და აგრეთვე სხვა სამთავრო სოფლის გარემოების მიხედვით სოფლითი სოფლად განბნეულ-იყვნენ. უმყოფელობა მათი ჩუენ არად დაგვჩენია; სახლის მცველთა და ხელოსანთა მიგვიღეს მთავრის სახლში, მოგვასხვენეს და გვიმასპინძლეს ფრიად კეთილად, სადაცა და-

ღალულთა დავისვენეთ; სახლის მცჳველმან სახელდობრ მაყიტა ბიგვაამ დილითვე ჰქმნა მოძიება მოურავთა, სადაცა მყისვე განცხადდნენ; მიწერილობა მთავრისაგან მივეცი, რომელიც კრძალვით მიიღო მან და გულს-მოდგინებით განმიცხადა სურვილი აღსრულებისათჳს; მთხოვა დრო მეორეს დილამდის, ესე იგი 20-ს ოკდომბრამდე, რათა ვაუწყო მათ მთავრისაგან დანიშნულთა პირთა, აზნაურს სოსრან შარვანის ძეს ფილიას და აზნაურს ივანე ნარჩოუს ძეს ღუბულიას, რომ დილით მოვიდნენ, და სხვებრ რასაც გვიბრძანებს ვეცდებით აღვასრულოთ. მთავრის განკარგულება და ბრძანება ჩუჱნგან მარადის აღსრულდება დაუზარებლად; და უმეტესად ეს ისრეთი მნებებლობაა, ამას გულს-მოდგინებით აღვასრულებთ, ჭეშმარიტად გვიხარის ეს დანიშნულება და სთქვა: განირყვნა სოფელი ყოველი ცრუ სარწმუნებისაგან, აწ იმედია აღიხოცება.—დამიკრა თავი და წარვიდა: დავრჩი სასახლეში 20-ს რიცხვსა, მივეც სასახლიდან ცნობა გარემო მახლობლებს სოფლებს, რომ შეკრებულ-იყვნენ სასახლეში, 21-ს რიცხვსა. ხოლო მე მომლოდნემან დანიშნულთა პირებთა დავსთმე ეს დღე და საჭირო იყო მათი მყოფობა ჩუემთჳს საჩვენებლად გზისა. მაშინ მითხრა ლიხინის პრისოდის მღუდელმა იოანე ზაქარიას ძე გეგიამ, გუდაუთას მოვაჭრენი ქრისტიანენი ვერ არიან მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა, ეფარვიან ქრისტიანებრივს დაწესებას; აღსარებასა, ზიარებასა და წირვა-ლოცვასა, და კარგი იქმნებამოავგონოთ მათი წოდება და ქრისტიანობაო. და მე რადგანაც მრთელი დღე უნდა ვყოფილ-ვიყავ მუნ უსაქმოდ, დაუზარებლად შევაკმაზვინე ცხენები და წარვემართეთ. მაშინ თანა-მყვნენ მღუდელნი და სხვანიცა მთავრის მოხელენი, ჩავედით გუდაუთას კ-ს ოკდომბრის რიცხვსა, შევკრიბეთ სრულიად მუნ მოვაჭრენი ქრისტიანენი საშუალ-მოედანისა, პირველად ვამხილეთ მათ შეცთომილებაჲ და სიმძიმე ესე-ვითარისა გარეწრობისა, და შემდგომ ვა-

სწავლეთ თუ რითი იქმნებიან ბედნიერნი და მასთან უჩუჱნეთ ღო-ნისძიებაცა, მაჩუჱნებელი ჭეშმარიტისა გზისა, რომელთაგანაცა ითხოვება განუშორებლად სამნი ესე: სარწმუნოება, სასოება და სი-ყვარული: ესენი განუმარტე, ვასწავე, და პასუხი მივიღე ყოვლისა ჩემ-მიერ მათდამი ჴსწავლისათჳს ესრეთი: „შევინანებთ და შეუდგე-ბით აღსრულებასა მცნებისა ღჳთისასა, მივიღებთ მღჳდელსა ვი-თარცა მოწესესა და დარიგებისა-მებრ მისისა ვყოფთ და შემდგო-მი„. დროსა მათდამი ჴსწავლისასა შეკრბა სიმრავლე ერთა თათართა ესრეთ, რომელ არღა იყო ადგილი დასატევნელი და იკითხვიდენ ვინაობასა ჩუჱნსა და სუროდათ მასლობლად ჩუჱნსა მყოფობაჲ და ჴსცდილობდენ შეტყობასა თუ რასა ვიტყვით; მაშინ ერთსა მათგან-სა თათართაგანსა ესწავა მეგრული თავის მენგრელიად მყოფობა-ში და მისის პირით გარდავეც სიტყვა სხვათაცა ესრეთ:

ყოვლად უმოწყალესმან, დიდმან კელმწიფემან რუ-სეთისამან, ძლიერითა მკლავითა თვისითა და შეწევნითა უფლი-სა ჩუჱნისა იესო ქრისტესითა, შემუსრა წინა-აღმდეგი მტერი, შე-იპყრა შამილ თვით თავისა თვისისა უფლად მწოდებელი, რომელ-საცა თქვენ რაცხდით ზეგარდამო განგებისაგან მოვლენილად და შეუმუსრველად, რომელიცა ჴქადაგებდა კავკასიის ერთა შორის, რო-მელ ნებავს ღმერთსა, რათა კაცად-კაცადმან შესწიროს თავი თვისი განსამტკიცებელად ჴსჯულსა მაჰმადისასა. და ესე-ვითარის შეგონე-ბით მოაცთუნებდა სალხთა, რომელიცა უკანასკნელ თვით, წინა-აღმდეგ თვისისა ჴსწავლისა, დაემხო ფერხთა ქუჱშე წინაშე კავკასიის ნამესტნიკისათა და ითხოვა შეწყალებაჲ, და არს იგი თჳთ შემწყვდე-ულ ერთსა უშინაგანესსა ღუბერნიასა შინა სახელით კალუღში, შე-საბამის საზრდელითა: დღეს განისვენა კავკასიამან, დღეს გრძელ-ჟამიერსა ტანჯვაში მყოფნი გამოიხსნა ხელისაგან ბარბაროზ-თასა ძლიერმან რუსეთმან, მთანი შეუვალნი და ველნი მხეცთაგან

ხავსენი დღეს აღივსებიან ძალითა და საჭურველითა რუსეთისათა, და ზარი მათი ღრმებრ შემუსრავს ყოველთა წინააღმდგომთა თჳსთა. დღეს მოეფინა მშვიდობა მრთელსა კავკასიასა, და აღიხოცა ყამი ამაოებისა, დღეს წმიდა კანონი და განკარგულება კავკასიის ნამესტნიკისა უფლებს კავკასიასა კასპიის ზღვიდან ვიდრე შავს ზღვადმდე, აწ ყოველნი შეუდგებიან მაგალითსა და წმიდასა ნებასა მისსა. ღმერთსა ნებავს, რათა დაბადებულნი მისნი იყვნენ მშვიდობასა შინა, და იცნან ჭეშმარიტი სარწმუნოება და ერთი ნათლისღება, და ჩუჱნსა კელმწიფესაცა ჰსწადის ესრეთ და ზრუნავს იმპერიისა თჳსისა კეთილ-მდგომარეობისათჳს, ნებავს მას რათა იყოს კაცად-კაცადი მცნობი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა, და იყვნენ მშვიდობასა და თავისუფლებასა შინა: ესე მამობრივი მზრუნველობა თქუჱნცა დაინახეთ: ქრისტიანობა არის არა სხვა რაჲმე, ვითარ ოდენ აღმხოცელი ყოვლისა ბოროტ-მოქმედებისა ბარბაროზებრისა, ტყვენვისა, ტაცებისა და სხვათა ესრეთთა მოქმედებათა, რომელნიცა თქვენ კაცად-კაცადსა გამოგიცდიათ, გაყიდვა ტყვისა და სხვა ყოველი წინააღმდეგი ღჳთისა და კაცთა; თჳთოეულმან იფიქრეთ, და უკეთუ ჩემი რჩევა კეთილად შერაცხოთ, ხვალ-მოდით სოუკში მთავრის სასახლეში, იქ მიიღებთ უკვდავს ჯილდოს, ესე იგი წმიდასა ნათლის-ღებასა, რომლისა ფასისა აღრიცხვა მე არ შემიძლიან. ამა ზემორე გარემოების ცნობამ მრავალნი მათგანნი შეიყვანა დიდს მწუხარებაში, პირველად საეჭოდ შერაცხეს შამილის შეპყრობა; მაგრამ უკანასკნელ რა დარწმუნდნენ მას ზედა, დიდად შეწუხებულნი დავსტოვე თათარნი, და აფხაზნი. შემდგომ ამისა ქრისტიანეთა ჩაიზედ გვისტუმრეს, და ესრეთ მოვიქეცით უკანვე. თუმცა გვევედრნენ მოცდა, მაგრამ რადგან დილით სხვა განკარგულება გვქონდა ქმნილი, ამისთჳს წამოვედით; მეორე დღეს კა-ს ოკტომბრისასა შეკრბნენ სალხნი, რომელთაცა ვარქვი ჰსწავლა სიტყვიერი, და მათ

შეიწყნარეს სიტყვა ჩვენი და მიიღეს წმიდა ნათლის-ღება რიცხვით 20-მა სულმან თათარმა და წარმართმან და აღვასრულეთ საიდუმლო ნათლის-ღებისა მდინარესა მ ი ლ ა გ ა რ ა ს, სადაცა მომზადებული იყო ადგილი კეთილად; მეორე დღეს განვიზრახეთ კბ-ს ოკტომბრისას წარსვლა სოფლად; გარნა დაიწყო ძლიერმან წვიმამან და დაგვამწყვდია და ვერსად წავედით იქიდგან; კგ-ს ამავე თვისას ნაშუადღევს გამოიდარა მცირედ და მაშინვე დაუცადებლად წავედით სოფლად, ვლეთ სამი საათი მთა-გორა და სავლელად ძლიერ ცუდი, მივედით სოფელსა ებერნუსას გლეხის კაცის სახლში ივანე გიციბაიასას, რომელსაც სამი ცოლი ჰყავს, და უფლებს ოთხსა კომლსა კაცსა ზედა, არა რომლისამე ჰსჯულისა მექონი, ზვავი და ლაღ-ამპარტავანი. ჩუჱნთა მხლეთა უთხრეს ვინაობა ჩუჱნი, და თუმცა არ უნდოდა მიღებაჲ; გარნა შიშისათჳს მთავრისა და თანა მხლეთა მოურავთათჳს მიგვიღო. შევედით-რა სახლსა ვსთქჳთ მშვიდობაჲ. იმა ღამესა ვეცადენით შეგონებასა მისსა; მაგრამ ვერ მოვდრიკეთ გული მისი, წყუდიადითა შეპყრობილი. მხოლოდ ეს გვითხრა, ჩემის ბატონის სახლში მოვალ, სადაცა გვქონდა პირობა სალხთა შეკრებისა; მივედით, ვიცადეთ თორმეტს საათამდის, მაგრამ არ მოვიდნენ; შემდგომ მებატონემან ამა სოფლისამან აზნაურმა ტაგუ არლანაამ მიგვიპატიჟა, უთხარი: ვინემ ჰსწორეს არ შევიტყობ თუ სალხი რა აზრზე დგას, მინემ არა მინდა-რა-თქო. და დაუწყე მეგრულს ენაზედ ლაპარაკი, რომელმანც კარგათ იცოდა ენა მეგრული და განუმარტე დოღმატი ჩუჱნისა სარწმუნოებისა, უკანასკნელ ბ-ის საათის ჰსწავლისა შეიწყნარა სიტყვა ჩემი და ამ სალხის სიმრავლეში აღიარა ესრეთ: ,,ცხადად ვგრძნობ, რომ ჩუჱნ შემცთარნი ვართ და ჭეშმარიტ არს ქრისტიანეთ სარწმუნოებაჲ. მრწამს და აღვიარებ იესო ქრისტესა, რომელსაც თქვენც აღიარებთ ღუთადოო“. შემდგომ ამისა ნათელ-ვეცით მას და ყოველთა სახლეულობათა მისთა

რიცხვით 8-ს სულთა. შევასრულეთ-რა საიდუმლო ნათლის-ღებისა, დავარიგეთ და დაუტევეთ. ჩუჱნ იქამდის დაგვიგვიანდა ამა საქმისა აღსრულებაში და წესზედ მოყვანაში, რომ დაღამდა; მაგრამ საქმე მუნ შევასრულეთ ჩუჱნი სასურველი; გარდავლეთ სხვა ადგილს იმავე სოფელში საბასტონო ყმის გიცაბაისას, იმ ღამეს ვეცადეთ და შევაგონეთ და დილისათჳს აღგვითქვეს შემოერთება, გათენდა რა კე-ი ოკტომბერი სამმა მოსახლე გიცაბაიებმან ერთობით მიიღეს ქრისტიანობა, რომელთაც ნათელ-ვეცი რიცხვით ივ-ს სულს, და ვინც ქრისტიანენი იყვნენ მიქცეულნი იგინიცა მოვაქციეთ მართალს სარწმუნოებაზედ. დავნიშნეთ საიდუმლო ნათლის-ღების აღსრულება მდინარესა დოხვართას, რომელიც ჩუჱნზედ მოშორებით იყო ა-ს ვერსტზედ; მხიარულებით მოსურნენი იყვნენ ნათლის-ღების მიღებისათჳს, და ახალ მოქცეულნიცა ქრისტიანენი მოვიდნენ და თჳთ ისინი ასწავებდნენ პირჯ-ვრის წერასა და ახალისებდნენ მხიარულებით მიღებასა ზედა ნათლის-ღებისასა. ცხადად გამოისატებოდა მათ შორის სიყვარული ქრისტესი, საამო იყო სასიღველად ერთობ ესე პროცესია და დღეცა იყო კეთილ-ჰაეროვანი და თბილი. განსდა სრულიად სოფელსა ამას შინა ჰამბავი ჰქადაგებისა და სარწმუნოებისათჳს ქრისტესა, და შეედვათ გულსა მათსა სიყვარული ქრისტიანობისა და იწყეს თჳთ კაცად-კაცადმან მისვლა და მოყვანა შვილთა თჳსთა, სადაცა კვ-ს რიცხვსა მოვნათლეთ კბ-ი სული თათარი და წარმართი; მუნით გარდავედით სხვა სოფლის ნაწილში სამს ვერსტზედ მოშორებით ებერნესვას, იქმნებიან სამოც კომლამდი და დაშენებულ-არიან მთის ძირში, სადანაც იმიშვიან მცხოვრებნი მტერთაგან; აქა გამოდის წყალი დახვართა; აქაცა მოინათლა ჩუჱნგან ზ-ი სული და დროსა ნათლის-ღებისასა იარაღით აღჭურვილნი კაცნი მცველობდენ გარემოს ჩუჱნსა შიშისათჳს მტერთა ანუ ავაზაკებთა, და ესე შევასრულეთ რა, გვალადვე იმავე სოფელ-

ში, მოშორვებით ოთხს ვერსტზედ, იქაცა სამი მოსახლე საბატონო-ყმა ჲ ერთი მოსახლე აზნაური-შვილი თავიანთ სახლეულობით მოვნათლეთ, რომელიცა შეადგენდენ რიცხვით იჱ-ს სულსა. წამოვე-დით იქიდგან და მოვედით სოფელსა არქჳას, სადაც სახლობენ გვარათ არნინბაიებნი 50-ი კომლი და ათი სხვა იქმნებიან. გა-მოუცხადეთ ხალხთა რათა შეკრბენ, მაგრამ გამოსცხადდენ დიდაი ორგულათ. ამ სოფელში ჰსცხოვრებს ქრისტიანი ერთი კომლი აზ-ნაური სუსენ დაკრიბაია და ერთი გლეხი გვარათ ჩსერკი-შვილი, ჲ აქჳსთ ჩჳჱულება კერპთ-თაყვანის-ცემისა. ამა სოფელსა შინა მო-ვნათლეთ ბ-ნი სულნი გერგულიებნი, და სხვათა არა შეგვიწყნარეს და განიზრახესცა ჩჳჱნთჳს ბოროტი, რომ მოვეკალით, გარნა მა-დლითა ღჳთისათა განვერენით განსაცდელსა მშვიდობით. იქიდან წამოსრულნი მოვედით სოფელსა რაჭთას, სადაცა გაუვლიეს აფხა-ზეთში მყოფთ მისიონერებთ ჩყმვ-ს წელსა ივლისის თვეში, და მო-უნათლავთ 80-ს სულამდის. აქ შემდგომში არ გაუვლია სამღჳდე-ლოთა აქამომდე: ჩჳჱნცა გამოგვიცხადეს თავი მათი ქრისტიანედ და კეთილადცა გვისტუმრეს. ჩჳჱნი ჯაზრი და სურვილი უთხარით და გვიპასუხეს: ხვალემდის არავინ შეკრბება, განბნეულნი არიან თა-ვიანთ საჭიროებისათჳს, და დილით ყველანი მოვალთ, და რაც გვე-ბრძანების ჩჳჱნ არ ვეწინააღმდეგებით ქრისტიანობრივს დაწყებუ-ლებასა, რადგან ჩჳჱნ ვართ გვარათ მარტვილის სობორის მონას-ტრის მესატურის განაყოფნი გაბის-ნიებნი ჲ იქიდგან მოვედით; ჩჳჱნი მთამამავლობა დაგლასხადება, რომ წარმართათ დარჩესო.— კჱ-ს რიცხვსა ოკტომბერსა მოინათლა ზ-ი სული თათარი. 29-ს ოკტომბრის რიცხვსა მართლად გაბისონიათ ჰსთქჳჱს: ქრისტიანი ვართო; ხოლო საქმითა აღმოჩნდნენ მცირე მორწმუნედ, იქმნებიან 80-ს კომლამდის, განვაგრძეთ სიტყვა ჰსწავლისა მათდამი; გარნა პასუხად მოგვითხრეს ესრეთ: მღჳდელი არა გვყავს, ჩჳჱნს საჭი-

როებაზედ ვერ ვიშოვით, სიკვდილის ჟამს და ქრისტიანობრივის წესის აღსრულების დროსა უმღვდლოთ ვართ, და მასზედ დაიწყეს წინააღმდეგობა და მრისხანება; მე უთხარ: მწყემსი მაშინ გეყოლებათ, როცა თქვენ კარგი სამწყსონი იქმნებით ქრისტიანენი და დაიცავთ ყოველსა ჰსჯულსა და სარწმუნოებასა, და ამ ლაპარაკით დავეთხოვეთ ერთმანეთს. წამოველ სოუგსს მთავრის სასახლეში, და დავიწყეთ მახლობლებს სოფლებში სიარული, და მივეცით ცნობა რომელთამეს თჳთოეულს თურაში მდგომარებს დოლმატი ჩვენის ეკკლესიისა, და 4-ს ნოემბრისას მოვნათლეთ ხუთი სული. 5-ს ნოემბრისას მოთხოვნილებისა-მებრ ეპარხიის მწყემსთ-მთავრისა ვჰქმენ მიწერილობა, რათა კეთილ-ყამიერად წარმოედგინათ სამღვდელოთა აღსარებითი სია და მეტრიჩესკის წიგნები. ამავე რიცხვსა შევჰკრიბე სოუგს სასახლეში გარეშამო მახლობელ სოფლებში მცხოვრებნი თათარნი და წარმართნი, რომელთაცა ვარჰქჳთ სიტყვა ჰსწავლისა და შეიწყნარეს ჰქადაგება ჩვენი. დავნიშნე ნათლის-ღების აღსრულება მდინარესა მილაგარას და მოვამზადეთ კეთილად, რომელიცა ჩამოუდის აღმოსავლეთის მხრით სასახლესა ამას სოუგს ამავე ლიხინს, და მოვნათლეთ ერთად 37-ტი სული თათარი და წარმართნი; დროსა ამა საიდუმლო ნათლის-ღების აღსრულებისასა იყო სიმრავლე ერთა და განიზრახვიდენ ურთიერთარს, კეთილ-არს ესე, იყვნენ მუნ ბოროტ-განმზრახნიცა წინააღმდეგ ქრისტიანეთა მრავალ; თჳთ ქრისტიანენი შეურაცხ-ჰყოფდენ მახმედსა და შედგომილთა მისისა სარწმუნოებისაგანთა. აღვასრულეთ ესე უდრტვინველად და დაუბრკოლებლად კრძალებითა პირთაგან. 6-ს ნოემბრის რიცხვსა მოვნათლეთ 12-ტი სული. 8-ს ნოემბრისასა გარდავედით სოფელსა ჩიგურხვას და მუნ ვჰქადაგეთ ჭეშმარიტი სარწმუნოება ქრისტესი, აღმოჩნდნენ კეთილ-გონიერნი პირნი, რომელთაცა შეიწყნარეს და შეიყვარეს სარწმუნოება ქრისტესი

და მიიღეს წმიდა ნათლის-ღება 7-თა სულთა. კვალადვე მოვიქეცით სოუგსს. 9-ს ნოემბრისას წავედით სოფელსა კვასკემიწას, სადაცა ყოვ-ლად-სამღვდელო მინგრელიისა ეპისკოპოსი თეოფანე (მაშინ იღუ-მენად ჰყოფილს) თჳსს მისიონერობაში 1844-ს წელში მოუყვანია ქრისტიანობაში და მას აქეთ მისიონერს არ გაუვლია არა ვითარის საღმრთო მსახურების აღსასრულებელად; ყრმებნი მათნი განმზადეს მისანათლავად და მოვნათლეთ სახლის პატრონი მადლო მარანავა, წლისა 90-ისა, რომელსა ნათლის-ღების დროს ეწოდა მატთე, გე-თილის ზნეობისა მექონი და დამცველი ქრისტიანობის სარწმუნო-ებისა. აქედან წავედით-რა დაგვიდგა საშინელი წვიმიანი და ტალახიანი გზა, გავედით მდინარესა მიჭიმს დიდის შიშით და მივედით სო-ფელსა ბაჩას სახლსა შინა საბატონო ყმებთ კიბაიებთასა, რომელ-თაცა მიგვიღეს უსიამოვნოდ, მაგრამ რადგანაც მახლდნენ აფხაზე-თის მთავრისაგან კეთილ-საიმედოვანი პირნი, იმათის პატივისცემი-სათჳს და შიშისათჳს მთავრისა გვისტუმრეს. ვსთქჳთ მშვიდობა, შემდგომ დაუწყეთ ჰსწავლა სახლის პატრონს, მაგრამ იმედი მოქ-ცევისა ვერა ვჰპოვეთ რა. გათენდა-რა, მშვიდობა იგი ჩუჱნდავე მო-ვიღეთ. 10-ს ნოემბრის რიცხვსა გვითხრეს, თუ მრთლად სოფელი მოიქცევა თქუჱნს სარწმუნოებაზედ, მაშინ ჩუჱნც გავქრისტიანდე-ბით და ამ სიტყვით მოგვიშორეს. წავედით მაზუსოს შეეტყო-რა თავადს დიმიტრი ინალი-შვილს ჩემი მისვლა, წამოხრულ-იყო და მოგვეგება თავისის მხლებლებით და მიგვიწვია თავის სახლში. მე ვსთხოვე თჳთ წამოხრულ-იყო სოფელსა ოთარას, სადაცა სახლო-ბენ თავადნი შარვაშიძეებნი თათარნი, ტომისაგან ახლანდელის აფ-ხაზეთის მთავრისა. მუნ სახლობენ საბატონონი გლეხნი 80-ი კო-მლი და მდებარეობა ემახლობელება მაზუხის პრისოდსა; ადგილი ესე არს მთის პირი და ფრიად საშიში მტერთაგან ჩერქეზთა და ფსხუველებთა, სადაცა საბუდრად ჰქონან ყოველს მუნებურს ავა-

ზაკს. წარვგიძღვა და მივედით შარვაშიძის სახლში და შეიტყეს ვინაობაჲ ჩემი, მიმიღეს ვითარცა ნათესავი, რადგან მთავართან აქჳსთ ჩემთა ძმათა მახლობლობა. მე დაუწყე საუბარი შარვანბეი, ედირბეი და მაყარა შარვაშიძებთ თავადის თლაფსი ინალის-შვილის პირით სარწმუნოებაზედ; ყოველი ღონე მოვიხმარეთ მათს მოქცევაზედ, მაგრამ არა ისმინეს-რა. ვისადილეთ და წავედით თლაფსი ინალის-შვილისას, სადაცა თჳთ ამოგვიპატიჟა: ამ ჩემს მოგზაურობაში მხოლოდ იქ განვისჳენე და ვჭამოვე ქრისტიანული სტუმართ-მიღება. დამაშჳრალი მთა-გორათა და ღელეთა შინა სვლითა სრულიად მოუძლურებული ვიყავი. ვიხილე მუნ ეკკლესია დაშენებული მაღალსა ადგილსა ზედა, რომელიცა აღმოსავლეთად, ვითარცა არწივი მაღლით გარდმოიხილვიდა და მოჰფენდა მადლსა სოფელთა და ჭალაკთა მაზუხისათა. ჟამსა ომიანობისასა ესე ეკკლესია დარჩენილ-იყო უყურადღებოდ და ვნებულ მტერთაგან. ყოვლად სამღუდელო აფხაზეთის ეპისკოპოსმან გერონტიმ ეპარხია თჳსი მოვლო-რა იხილა რიცხვთა შორის სხვათა ესეცა ეკკლესია წმიდისა (დიმიტრისა) დაუქმებულად, მაშინ გამოითხოვა მთავრობისაგან შეწევნა, რომელისა საშუალობისა-გამო კეთილ-ინება უმაღლესმა სასურიელო მთავრობამ ბრძანება დანიშვნითა 200-ს მანეთის ვეცხლის ფულისა განახლებისათჳს მისისა, რომელსაცა ხელ-ჰყვეს განახლებად ჲ თჳთ თავს იდვა თავადმა თლაფსიმ (ეგეჳჱ კონსტანტინე) ინალის-შვილმან ჲ დასდო კანტრაქტი 20-ს დეკემბრის რიცხვამდის უნდა შეასრულოს ყოვლად უნაკლულოდ; შემდგომ ესე ვითართა გარემოებათა ცნობისა უკუნვე მოვიქეცით სოუკსს (ეგგვე ლისინს) აფხაზეთის მთავრის სასახლეში.—განსდა ხმა საზოგადოდ ჩვენის მიმოვლისა და ქადაგებისა სოფლითი სოფლად, მეორეს დღეს 24-ს ნოემბრისას თჳთ განცხადნენ თათარნი და წარმართნი, რომელთა შორის ცხადად იხილვებოდა სიყვარული ქრის-

ტეანეთ სარწმუნოებისა და მოვნათლეთ იგინიცა რიცხვით 26-ნი სულნი მდინარესა მილაგარას, სადაცა იყვნენ ქრისტეანენი შეკრებულ სიხარულითა დიდითა და ადიდებდენ ღმერთსა უფალსა ჩ̂ჳ̂ნსა იესო ქრისტესა. შემდგომ საიდუმლო ნათლის-ღების აღსრულებისა დავარიგე და მივფინე მშვიდობაჲ და სიყვარული ქრისტეს მიერი და დაუტევე; ხოლო მე გავლადგე მოვიქეც დანიშნულებისამებრ ჩემს მთავრობასთან ქალაქსა სოხუმს,—და აწ ვარ ლოცვასა და ვედრებასა შინა ღ̂ჳ̂თისადმი, რათა ჩ̂ჳ̂ნ მიერ მადლ-მიფენილთა მიეცეთ აღორძინება სახარებისა სათნოებათა შინა, ხოლო დანაშთთაგან შეცულთა წყუდიადითა ისლამისათა, გარდამოეცეს ზეცით ნათელი ქრისტესი განსანათლებელად მათდა ცხოვრებად საუკუნოდ.

იღუმენი გრიგორ (დადიანი).

# სამნი მეგობარნი.

(იგავი.)

---

ერთს კაცსა ჰყვანდა სამი მეგობარი. ორი მათგანი უყვარდა მას გულითა; შესწირვიდა მათ ყოველთა თჳსთა ძალთა და მზათ იყო, რათა მიეღო მათი გულისათჳს სატანჯველი; ხოლო მესამე არა უყვარდა ისე, როგორც პირველნი. ერთს დროს ეს კაცი დაიბარეს ხელმწიფესთან, ამისთჳს რომელ მას ემართა უმრავლესი ქანქარი ხემწიფისა (ესე იგი—ბევრი ფული). მაშინ მივიდა თვისს საყვარელს მეგობრებთან და სთხოვა მათ შემწეობა: მაგრამ პირველმა მეგობარმა მისმა მაშინვე უარ-ჰყო მეგობრობა მისი და უთხრა, რომელ მას ჰყვანან სხვა მეგობრები, რომელთანაც განატარებს დროებასა, და მისცა მას ორი ძონძი საგზაოდ. მეორე მეგობარმა უთხრა: მე ეხლა არა მცალიან შენთჳს, ამისთჳს რომ მე სხვა საჭიროება მაქვს; და ესრეთ მე გაგაცილებ შენ ცოტას და ისევ დავბრუნდები. ბოლოს დროს ეს უბედური მივიდა მესამე მეგობართან, რომელიცა ჰყვანდა მოძულებული. მოძულებულმა მეგობარმა მიიღო დიდის სიამოვნებით და უთხრა მას, რომელ ცოტა მეგობრობისათჳსაც დიდის კმაყოფილებით მიიყვანს მას თჳთ ხელმწიფესთან და კიდეც უშუამდგომლებს მის წინაშე.

განმარტება. პირველი მეგობარი არის სიმდიდრე, რომელიც დაგვიტევებს სიკვდილის ჟამს მხოლოდ დასასაფლავებელს ტანისამოსს; მეორე მეგობარი არის ჩვენი სახლობა და ნათესავები, რომელნიცა მიგვყვებიან ჩვენ საფლავამდინ; მესამე მეგობარი არის სარწმუნოება კეთილის საქმებით-ურთ; ის არის ჭეშმარიტი შემწე ჩვენი შემდეგ სიკვდილისა.

რუს. აარონ იანქოვი.

---

947.922
e 137